

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე: ოქმი №ს1-21, 06.08.2021
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით: დადგენილება №5, 16.08.2021

პროგრამაში განხორციელებული ცვლილება:

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე: ოქმი №ს1-21, 06.08.2021
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით: დადგენილება №5, 16.08.2021

საგანმანათლებლო პროგრამა

ეკონომიკა

განათლების საფეხური: დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)

სწავლების ენა: ქართული / დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა ერთ სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0311 ეკონომიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის დოქტორი / PhD in Economics

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი, 6 სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: გოჩა თუთბერიძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ტელ.: (+995) 599 10 00 36; ელ-ფოსტა: gocha.tutberidze@unik.edu.ge;

პროგრამის თანახმდგანელი: ტატიანა მურავსკა, ეკონომიკის დოქტორი, ტელ.: (+371) 29207753; ელ-ფოსტა: tatjana.muravska@unik.edu.ge; tatjana.muravska@rsu.lv

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვებისათვის აუცილებელია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ეკონომიკასა ან ბიზნესის ადმინისტრირებაში. სხვა აკადემიური ხარისხის მქონე კანდიდატებისთვის კი სავალდებულოა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატებს, რომელთაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები ეკონომიკის ან ბიზნესის თემატიკაზე და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები და შრომების კრებული სხვა საბუთებთან ერთად უნდა იქნას წარმოდგენილი). პროგრამაზე დაშვების აუცილებელი პირობაა აგრეთვე, ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რისთვისაც კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომი ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი

საერთაშორისო სერთიფიკატი, ან ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა. გამოცდა ჩატარდება „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების მინიმალური ბარიერია 80 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

საერთაშორისო სერთიფიკატით ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისობის დადგენისას სახელმძღვანელო ინფორმაცია:

ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5.5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	TOEIC – 785
	TOEFL iBT – 72
	TOEFL ITP – 543

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა სარეგისტრაციოდ წარმოსადგენ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინონ პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერილი სადოქტორო კვლევის განაცხადი (იხ. დოკუმენტის ბოლოს, დანართი 1) რომელიც შეფასებულად ეგზავნება დროებით დარგობრივ კომისიას. კვლევითი განაცხადი ფასდება 5 ქულიანი სისტემით (შეფასების პრინციპები და მინიმალური ზღვრები იხ. დოკუმენტის ბოლოს, დანართში 2). სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი დროებითი დარგობრივი კომისიის წინაშე აკეთებს თავისი კვლევითი განაცხადის პრეზენტაციას. პრეზენტაცია ფასდება 5 ქულიანი სისტემით (შეფასების პრინციპები და მინიმალური ზღვრები იხ. დოკუმენტის ბოლოს, დანართში 3). ზეპირი გამოცდის შეფასება ხდება დროებითი დარგობრივი კომისიის მიერ, წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, კრიტერიუმების და რუბრიკების შესაბამისად. ზეპირი გამოცდის მოთხოვნები, კრიტერიუმები და რუბრიკები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ერთიანი შეფასება შედგება კვლევის განაცხადისა და პრეზენტაციის შეფასებათა ქულების ჯამისაგან.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

„The curious task of economics is to demonstrate to men how little they really know about what they imagine they can design“ (ეკონომიკის საინტერესო ამოცანაა, აჩვენოს ადამიანებს, თუ რა ცოტა რამ იციან სინამდვილეში იმის შესახებ, თუ რისი შექმნა შეუძლიათ)¹.

ეკონომიკა არის სოციალური მეცნიერება, რომელიც უაღრესად რაოდენობრივ, ემპირიულ მონაცემებზე დამყარებულ მიდგომას იყენებს იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ქცევის გაგებასთან. ის აკვირდება, სწავლობს და პროგნოზირებს ადამიანთა ქცევას. მეცნიერული კვლევები ეკონომიკის სფეროში ეხმარება ადამიანებს მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები, როდესაც საქმე ეხება მათ პირად, სოციალურ და პროფესიულ ცხოვრებას.

ამასთან, ადამიანების საქმიანობისა და მათი მოტივაციების გაგება ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი ინიციატივების შემუშავებისათვისაც, რომლებმაც შეიძლება სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენა იქონიონ საზოგადოებაზე ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე და ეს სულაც არ არის ეკონომიკის მეცნიერების იდეალიზება. მთელმა რიგმა ქვეყნებმა, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, განიცადეს სერიოზული ტრანსფორმაცია უკეთესობისკენ, დაეყრდნენ რა საკუთარ პოლიტიკაში ეკონომიკური მეცნიერების მიერ შემუშავებულ გარკვეულ ეკონომიკურ პრინციპებს. ამის თავსლსაჩინო მაგალითია სამხრეთ კორეა, სინგაპური და ჩინეთი. მხოლოდ ჩინეთმა, ბოლო 40 წლის განმავლობაში, 200 მლნ. ადამიანი გამოიყვანა უკიდურესი სიღარიბიდან, რაც მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 2,6 პროცენტია. აღნიშნული მიუთითებს, რომ ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოში, ეკონომიკის გავლენა პრაქტიკულად უსაზღვროა. სწორედ, ეკონომიკის მეცნიერება გვეხმარება განვსაზღვროთ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს კეთილდღეობის ზრდას და თავიდან აგვაცილებს ან შეარბილებს სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისებს და უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, როგორც ნაციონალურ ასევე რეგიონალურ დონეზე.

მას მერე, რაც საქართველოს ეკონომიკა გახდა უფრო კომპლექსური და დაკავშირებული გლობალურ ეკონომიკასთან, გაიზარდა მოთხოვნა და მომავალშიც შენარჩუნებული იქნება ეს ტენდენცია, კვალიფიციურ ეკონომისტებზე, როგორც მთავრობაში ასევე, ბიზნესში და პოლიტიკაში. საქართველოს ეკონომიკას სჭირდება იმ ადამიანების მეტი ჩართულობა, რომლებიც მეცნიერულად ერკვევიან ეკონომიკის პრინციპებში და შეუძლიათ არგუმენტირებული დისკუსიის წარმართვა სამთავრობო ორგანიზაციების თუ კორპორაციების შიგნით, რათა ქვეყანამ შეძლოს უკეთესი ეკონომიკური ზრდის დემონსტრირება.

¹ Hayek F.A. The Fatal Conceit the Errors of Socialism. The Collected Works of Friedrich August Hayek. Volume I. The editor, Professor W. W. Bartley, III. Stanford, California 1990. P.76

პროგრამის მიზანი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს:

1. გამოიყენოს თანამედროვე ეკონომიკური თეორიების ცოდნა სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემების გაგებისა და გადაჭრისათვის, მოახდინოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებები, შეიმუშაოს რეკომენდაციები და მიიღოს გადაწყვეტილებები;
2. თანამედროვე სარწმუნო ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ჩაატაროს ორიგინალური კვლევა ანალიტიკური, მათემატიკური და ეკონომეტრიკული უნარების გამოყენებით რომელიც გულისხმობს თანამედროვე ეკონომიკური მონაცემების მდიდარი ნაკრების გამოყენებას;
3. მოამზადოს და გამოაქვეყნოს ორიგინალური ეკონომიკური კვლევა, რაც მოიცავს სადისერტაციო ნაშრომს, ასევე, სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას აღიარებულ ბაზებში განთავსებული რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალებისათვის და ეკონომიკური კვლევების კონფერენციებზე წარდგენას;
4. ეკონომიკის შესახებ ცოდნის გადაცემას და გავრცელებას აკადემიური და არაკადემიური კარიერის ფარგლებში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

1. აღწერს ეკონომიკურ თეორიებსა და მოდელებს წერილობითი და ზეპირი ფორმით;
2. ახდენს მიკრო და მაკრო თეორიების ცოდნის დემონსტრირებას, აღწერს რა სიღმისეულად მიკრო და მაკროთეორიების სირთულეს, ტრადიციული თეორიების წვლილს და შეზღუდულობას ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში;

უნარი:

3. იყენებს ეკონომიკურ თეორიებსა და მოდელებს, ასევე საბაზო რეგრესიულ ანალიზს, შეფასებასა და პროგნოზირებას ეკონომიკის, როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ დონეზე არსებული პრობლემების მიმართ;
4. ხსნის და აფასებს ძირითად ეკონომიკურ მოდელებს კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

5. დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და უწყევს ზედამხედველობას ინოვაციურ კვლევას;
6. ამოწმებს ჰიპოთეზებს, ახდენს კვლევის შედეგების პროგნოზირებას და ინტერპრეტირებას;

7. კვლევების წარმოებისას იცავს სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების ნორმებსა და პატივს სცემს კოლეგების აზრს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. პროგრამის დანართი N¹).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიიღწევა (იხ. პროგრამის დანართი N²).

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ხორციელდება და სწავლის შედეგები მიიღწევა უპირატესად სასწავლო კურსების ფარგლებში შემოთავაზებული ლექციების, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის მიზნით გამოყენებული პრაქტიკული მუშაობის/მეცადინეობების საშუალებით, სტუდენტთა კონსულტირების, მათი დამოუკიდებელი მუშაობის, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი პროექტის, სადისერტაციო ნაშრომის მომზადების მეშვეობით. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია შესაბამისი შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო კურსის განხორციელების პროცესში გამოიყენება ის სასწავლო აქტივობები, რომლებიც უფრო ეფექტიანია კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების შესახებ. პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ყოველი ახალი თემა იწყება ლექციით, ხოლო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა თუ პრაქტიკული მუშაობა/მეცადინეობა ახალი მასალის სათანადოდ გააზრებასა და ცოდნის განმტკიცებაზეა ორიენტირებული.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენებულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდების და აქტივობები:

ლექცია - ლექცია პირდაპირი სწავლების მეთოდია და ემსახურება სტუდენტის კოგნიტური უნარების განვითარებას, ცოდნის აკუმულაციას და სისტემატიზებას. ლექცია იძლევა მთლიან, სისტემატიზებულ, მტკიცებულებით წარმოდგენას ამა თუ იმ პრობლემაზე და უზრუნველყოფს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას, გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ლექციის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს კონკრეტული თემის მიმართ მეცნიერული მიდგომები, შესთავაზოს პრობლემის გადაწყვეტის სამეცნიერო-პრაქტიკული გზები. ლექციის მსვლელობისას სტუდენტებს სასწავლო მასალა მიეწოდება სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო კურსის სილაბუსის გეგმის შესაბამისად.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სწავლების პროცესი წარიმართება აქტიურ ფორმატში, ამიტომ სასწავლო კურსისა და შესასწავლი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, უპირატესად გამოიყენება ლექციის შემდეგი სახეები: ინტერაქტიული ლექცია; ლექცია-დისკუსია.

ინტერაქტიული ლექცია - არის შემოქმედებითი პროცესი, რომელიც გულისხმობს ახალი მასალის ახსნა-სწავლების პროცესში სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას. ინტერაქტიული ლექცია ეფუძნება სტუდენტთა შემოქმედებითი აზროვნებისა და უმთავრესი სამეცნიერო პრობლემების აღქმის უნარს. მისი მიზანია სტუდენტების აზროვნების გააქტიურება, რომლის დროსაც გამოიყენება როგორც პრობლემური, ისე ინფორმაციული შეკითხვები. პრობლემურ შეკითხვებზე სტუდენტების პასუხები არ ემყარება წინარე ცოდნას და, აქედან გამომდინარე, გარკვეულ ინტელექტუალურ სირთულეებს უქმნის მათ, თუმცა ჰიპოთეზების დონეზე სტუდენტებს შეუძლიათ ასეთ კითხვებზე სხვადასხვა პასუხის გაცემა გამოცდილების, ან ლოგიკური თუ წარმოსახვითი აზროვნების გამოყენებით. ინფორმაციული შეკითხვები კი მიმართულია იმ უკვე არსებული ცოდნის გააქტიურებისაკენ, რომელიც ხელს უწყობს დასმული პრობლემის გადაწყვეტას. პრობლემური და ინფორმაციული შეკითხვების მონაცვლეობა ერთის მხრივ ააქტიურებს სტუდენტებს, მეორეს მხრივ კი ახდენს მათი ცოდნისა თუ შესაძლებლობების დიაგნოსტიკას, ეხმარება მას სტუდენტების აზროვნების პროცესის მონიტორინგსა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებაში.

ლექცია-დისკუსია - ამ ფორმატში მეცადინეობის წარმართვაც, ასევე ორიენტირებულია სტუდენტის აქტიური შემეცნების სუბიექტად გადაქცევაზე და პრობლემური საკითხის სისტემური და კომპლექსური განხილვისა თუ კრიტიკული ანალიზის პროცესში მის ჩართვაზე. ლექცია-დისკუსიის მეთოდის გამოყენებისას ლექტორი სტუდენტებს სთავაზობს გაანალიზონ სადისკუსიო თემად შერჩეული კონკრეტული ფაქტი, მოვლენა, სიტუაცია ან საკითხი. ის ისმენს სტუდენტების მხრიდან გამოთქმულ სხვადასხვა თვალსაზრისსა და მათ არგუმენტაციას სადისკუსიოდ წამოწეულ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგ კი აჯამებს ლექციას და ამდიდრებს განსახილველ თემას ახალი ფაქტებითა თუ არგუმენტებით. ლექცია-დისკუსიის დროს შესაძლებელი ხდება ჯგუფის ერთიანი თვალსაზრისის მართვა, ამავე დროს, მცდარი / სუსტად არგუმენტირებული თვალსაზრისების იმგვარად წარმოჩენა, რომ არ იყოს მტკიცებელი ავტორისათვის. ლექტორის შემაჯამებელი სიტყვა-ლექცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამ მეთოდით სწავლების წარმართვაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტების ცოდნისა და სააზროვნო უნარების დიაგნოსტიკას, ეხმარება ლექტორს სტუდენტების აზროვნების პროცესის მონიტორინგსა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებაში; ამავე დროს სტუდენტს აჩვენებს კრიტიკულ აზროვნებას, უვითარებს საკითხის/პრობლემის კომპლექსური ხედვისა და მისი გადაწყვეტის ალტერნატიული გზების მოძიების, საკუთარი პოზიციის არგუმენტირების, განსხვავებული მოსაზრების პატივისცემისა და, საჭიროების შემთხვევაში, კომპრომისულ ვარიანტზე შეჯერების, თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების უნარ-ჩვევებს.

ზოგადად, პროგრამის ფარგლებში ცალკეული სასწავლო კურსების განხორციელებისას ლექციები წარმართება, უპირატესად, საპრეზენტაციო მასალების გამოყენებით. ფაქტები, მაგალითები, სქემები, დიაგრამები, გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებანი ემსახურება ლექციის იდეის ახსნას. ამასთან, სათანადო ყურადღება ეთმობა ძირითადი ცნებების, დებულებების, კონცეფციებისა თუ მიდგომების, თეორიების, მეთოდებისა თუ ინსტრუმენტების განხილვა-განმარტებებს, ფაქტებისა თუ იდეების კრიტიკულ ანალიზს. მაშასადამე, სწავლების პროცესში, ლექციის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აქტიურად გამოიყენება ახსნა-განმარტების, აუდიო-ვიზუალური მუშაობისა და დემონსტრირების აქტივობების კომბინირება.

- **ახსნა-განმარტება** - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ახსნა-განმარტების გამოყენებით ლექტორი ახალ სალექციო მასალას გადასცემს სტუდენტს, აცნობს შესასწავლ თემას, უხსნის და განუმარტავს საკვანძო საკითხებს, დებულებებს თუ ტერმინებს. აღნიშნული გამოიყენება ვერბალური და დემონსტრირების აქტივობებთან კომბინაციაში. კერძოდ, ვერბალური ახსნა-განმარტება მიმდინარეობს შესაბამისი **აუდიო-ვიზუალური მასალის** (სქემის, სურათის, გრაფიკული და/ან კოგნიტური დიაგრამის, სასწავლო ვიდეო-რგოლის, ვიდეო-სიუჟეტის, ან/და სხვ.) გამოყენებითა და თემის/საკითხის უკეთ აღქმის მიზნით მისი საკვანძო დებულებების, ლოგიკური სქემების, ან/და, საჭიროების შემთხვევაში, პრობლემური სიტუაციის **დემონსტრირებით**. ამ გზით ლექტორი თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს, აკონკრეტებს, თუ რისი შესწავლა-გააზრება და შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. ვიზუალური ეფექტის წყალობით, მნიშვნელოვნად იზრდება სტუდენტის მიერ მასალის აღქმისა და დამახსოვრების ხარისხი; ქეისების ანალიზის შემთხვევაში კი, მცირე ვიდეო-რგოლების ან/და ილუსტრირებული სიუჟეტების გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს სიტუაციის რეალისტური აღქმის, დეტალებზე კონცენტრირებისა და რელევანტური ინფორმაციის გამოკვეთა-ანალიზის უნარ-ჩვევებს.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი აერთიანებს სწავლების ყველა იმ აქტივობას, რომელიც სტუდენტს კოგნიტურთან ერთად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტების ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა წარმართება სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტული თემატიკის დაუფლების მიზნით გაწერილი სასწავლო აქტივობების (სასემინარო თემის მომზადება; დისკუსიის, დებატების, სიმულაციური თამაშების გამართვა; შემთხვევის, პრობლემური სიტუაციების განხილვა; პრაქტიკული დავალებების/სავარჯიშოების ინდივიდუალური/ჯგუფში შესრულება; საშინაო დავალების განხილვა, სხვ.) გამოყენებით. ამ მეთოდის მიზანია სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გარშემო ცოდნის გაღრმავება-დაკონკრეტების საშუალება, ხელი შეუწყოს პრაქტიკული ხასიათის აქტივობების განხორციელებით სტუდენტთა ცოდნის განმტკიცებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას.

პრაქტიკული მუშაობა / მეცადინეობა- სწავლა-სწავლების პრაქტიკული მეთოდი, რომლის დროსაც ლექტორი უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას პრაქტიკულ საქმიანობაში და შესაბამისად, აძლევს გამოცდილებით სწავლის საშუალებას. აღნიშნული აქტივობა მიზნად ისახავს ლექციებზე და დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკაში გადატანის უნარის განვითარებას.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის ფარგლებში და პრაქტიკული მეცადინეობის/მუშაობის დროს გამოყენებული აქტივობებია:

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა მცირე ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. მცირე ჯგუფებად დაყოფილ სტუდენტებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეძლევა რაიმე სასწავლო დავალება (სიტუაციის ანალიზი; გეგმის/სტრატეგიის შეფასება; პროექტის ან/და დოკუმენტის მონახაზის შექმნა; პრობლემის იდენტიფიცირება და გადაწყვეტა, სხვ.), რომლის შესასრულებლად ჯგუფის წევრები

ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ეხმარება სტუდენტს საკუთარი აზრის არგუმენტირების, სხვისი აზრის მოსმენის, შეზღუდულ დროში სწრაფი ანალიზის უნარის გამომუშავებაში.

- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - აქტივობა გამოიყენება ცალკეული სალექციო თემის ახსნისას და ხელს უწყობს შესასწავლი თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხისადმი/პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, რადიკალურად განსხვავებული აზრის/იდეის გენერირების, შედარებითი ანალიზის, სინთეზის, ლოგიკურად არგუმენტირებული და დასაბუთებული დასკვნის უნარ-ჩვევათა განმტკიცებას. აქტივობა შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით; დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე); შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით; გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა. საბოლოო ჯამში, „გონებრივი იერიშის“ გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებშიც კი. ის იწვევს საკითხისადმი სტუდენტების ინტერესის გაღვივებას და ეხმარება მათ საკითხის სიღრმისეულად და კომპლექსურად გაანალიზებასა და სათანადოდ დამახსოვრებაში.
- **დისკუსია** - აქტივობის მიზანია სტუდენტების აზროვნების დონის, სწავლის ხარისხის, პრობლემების სისტემური და კომპლექსური განხილვის, კრიტიკული ანალიზის, მათი გადაწყვეტის უნარის, შესასწავლი მასალის სიღრმისეულად გააზრების, ახალი სასწავლო ლიტერატურის გაცნობის გაუმჯობესება. დისკუსიის მეთოდის გამოყენება მკვეთრად ამაღლებს სწავლების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს. სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, დისკუსია შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც სტუდენტთა მცირე ჯგუფებში, ასევე მთელ ჯგუფში ლექტორის ან თავად სტუდენტების ფასილიტაციით. ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით, სადისკუსიოდ შერჩეულია პრობლემური, აქტუალური ან/და სტუდენტებისათვის საინტერესო თემები/საკითხები. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სადისკუსიო საკითხთან მიმართებით აქტიურად გამოავლინონ შექმნილი ცოდნა და ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, წარმოადგინონ დისკუსიისათვის დამუშავებული საკითხები, დასვან რელევანტური კითხვები, წამოაყენონ კონტრარგუმენტები, არგუმენტირებულად დაიცვან საკუთარი მოსაზრებები. დისკუსიის საშუალებით სტუდენტი იმტკიცებს აუდიტორიის წინაშე თავისი აზრის წარმოჩენისა და საკუთარი პოზიციის მეცნიერულ წყაროებზე დაყრდნობით არგუმენტირებული დასაბუთების, საწინააღმდეგო მოსაზრების მოსმენისა და პატივისცემის უნარს, ეუფლება მოსმენისა და კითხვების დასმის ტექნიკას. კონკრეტული სასწავლო კურსისა და სადისკუსიოდ შერჩეული საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამუშაო

ჯგუფის ფორმატში გამოყენებულია როგორც თავისუფალი, ისე მიმართულებითი დისკუსიის წარმართვის სტრატეგიები. თავისუფალი დისკუსიის მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, სადაც სტუდენტი მიეჩვევა საკუთარი აზრის არგუმენტირებულ და გამართულ ფორმულირებას. ეს აქტივობა საშუალებას იძლევა, სტუდენტი მივაჩვიოთ კრიტიკული აზროვნების ძირითად პრინციპებს. თავისუფალი დისკუსიის დროს ლექტორი ქმნის ე. წ. მართვადი ქაოსის ვითარებას და ცდილობს, სტუდენტებმა, კონკრეტულ წესებზე შეთანხმების გზით, თავად მოახერხონ ვითარების დარეგულირება. მიმართულებითი დისკუსიის სტრატეგიით ხელმძღვანელობისას, ჯგუფი განიხილავს ერთ კონკრეტულ საკითხს, ლექტორი კი, (შეკითხვების, რეპლიკებისა და თეზისების ფორმულირებით) უზრუნველყოფს დისკუსიის იმ მიმართულებით წაყვანას, რაც კონკრეტული საკითხის საფუძვლიანი შესწავლის ინსპირირებისათვისაა საჭირო. მიმართულებითი დისკუსია ერთგვარი სტიმულია, რომ სტუდენტი დაინტერესდეს საკითხის სიღრმისეული ანალიზით და მისი შესწავლა დაიწყოს.

- **დებატი** - აქტივობა ითვალისწინებს კრიტიკული საკითხების როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ კვლევას, მოხსენების დამუშავებას, მომზადებასა და არგუმენტირებულად წარმოდგენას წინასწარ განსაზღვრული პოზიციის მხარდასაჭერად; დებატებში მონაწილეობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აქტიური მოსმენის, სუბიექტური და ობიექტური ინფორმაციის გამიჯვნის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის კომპლექსური ანალიზის, მწვავე კითხვების დასმის, კამათში მონაწილეობისას არგუმენტირების და კონტრ-არგუმენტირების, რელევანტური ინფორმაციის შეჯერების და მტკიცებულებაზე დაფუძნებული საკუთარი მოსაზრებების ფორმულირების უნარ-ჩვევების განმტკიცებას.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem-Based Learning - PBL)** - აქტივობა ეფუძნება პრობლემას, როგორც ახალი ცოდნის შეძენისა და ინტეგრირების წყაროს; გამოიყენება როგორც კომპლექსური, რეალური პრობლემების შესწავლა-გადაწყვეტის გზით სტუდენტებისთვის რთული კონცეფციების და პრინციპების სწავლების ფორმა, რომლის დროსაც ახალი ცოდნის გენერირების საწყის ეტაპად გამოყენებულია პრობლემა (პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სხვადასხვა კურსის სწავლებისას PBL-ის მიზნებისათვის გამოიყენება პარადოქსული, არაორდინარული ფაქტები და იდეები; კონფლიქტური ან/და წინააღმდეგობრივი სიტუაციები; შეუსაბამობის ან/და გაურკვევლობის სიტუაცია; ვარაუდის სიტუაცია; არჩევანის სიტუაცია ან მორალური დილემა). ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება სტუდენტებს აყენებს აქტიური შემმეცნებლის როლში, რადგან სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს, რომელთა გაგება-გადაწყვეტა მათგან დამატებით ცოდნის გენერირებას მოითხოვს, ამდენად, სწავლების პროცესი ხორციელდება სწავლის საჭიროების აღიარების საფუძველზე. PBL ხელს უწყობს ახალი ცოდნის შეძენას, კრიტიკული აზროვნების უნარების, პრობლემების გადაწყვეტის უნარების განვითარებას. აქტივობა შესაძლებლობას იძლევა სტუდენტებმა იმუშაონ ჯგუფებში, მოიპოვონ და შეაფასონ კვლევის მასალები და განივითარონ ავტონომიური სწავლის უნარ-ჩვევები. აქტივობა აგრეთვე ავითარებს ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორიცაა გუნდური მუშაობის, ინფორმაციის გაზიარების და ეფექტური კომუნიკაციის, სხვა თვალსაზრისის გაზიარების, ასერტული ქცევის გამოვლენის, თვითშეფასების და სხვათა შეფასების, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა-ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარს; მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ლიტერატურის/წყაროების

მომიება-დამუშავების ჩვევებს და ხელს უწყობს გუნდურ გარემოში მუშაობის წესების შესწავლა-გათავისებებას.

- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – აქტივობა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ინდუქცია** - ცოდნის გადაცემის მიზნით გამოყენებული ისეთი აქტივობაა როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
- **დედუქცია** - ცოდნის გადაცემის მიზნით გამოყენებული ისეთი აქტივობაა, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **ანალიზი** - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზი** - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
- **წიგნზე (წყაროზე) მუშაობა და წერითი მუშაობა** - გამოიყენება სტუდენტის კოგნიტური უნარების (ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, წაკითხულის გააზრება, წერითი კომუნიკაცია), აგრეთვე, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. **წიგნზე მუშაობა** გამოიყენება უპირატესად სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის დამოუკიდებლად გაცნობის, შესაბამისი მასალის შესწავლის, მიცემული საკითხების დამუშავებისა და ანალიზისათვის. აღნიშნული საჭიროა სხვადასხვა სახის საშინაო დავალების: საპრეზენტაციო მოხსენებების, დებატების, დისკუსიების, რეფერატის მოსამზადებლად და ეხმარება სტუდენტს მასალის ათვისებაში, გამოუმუშავებს რელევანტური ლიტერატურის, საინფორმაციო წყაროების, საკანონმდებლო და სხვა მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავებისა და დასკვნის გაკეთების უნარ-ჩვევებს. **წერითი მუშაობა** გულისხმობს ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, რეფერატის ან ესეს შესრულებას, სიტუაციის წერილობით ანალიზს, ანგარიშის, ანალიზის ან/და სხვა წერილობითი დოკუმენტის მომზადებას, და სხვ. პროგრამის განხორციელების პროცესში, წერითი მუშაობა გამოიყენება უპირატესად წაკითხული ლიტერატურის და/ან საინფორმაციო წყაროდან/აუდიო-ვიზუალური მასალიდან მთავარი ამონარიდის გაკეთებისას, თეზისების შედგენის, ქეისის წერილობითი ანალიზისას, წერითი დავალებების/ამოცანების/ სავარჯიშოების შესრულების, ესეს ან რეფერატის შესრულებისას, დისერტაციის მომზადებისას და სხვ.
- **ელექტრონული რესურსით სწავლება (E-learning)** – აქტივობის გამოყენება ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების პროცესში, ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში, კონკრეტული სპეციფიკური

თემების/საკითხების დაუფლების მიზნით ელექტრონული რესურსების გამოყენებას და სწავლას ინტერნეტით, სხვადასხვა პროგრამული პროდუქტით და/ან მულტიმედიური საშუალებებით. ელექტრონული რესურსებით სწავლა სტუდენტს აძლევს დარგობრივი ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას, ასევე, უვითარებს ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება-სისტემატიზების, გადაწყვეტილების მომზადება-მიღების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების უნარ-ჩვევებს.

- **პრეზენტაცია (პროექტის/რეფერატის/დავალების)** - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ეფექტური აქტივობაა, რომლის დროსაც სტუდენტები მოიძიებენ რელევანტურ მასალებს წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგენენ მას ჯგუფის წინაშე ტექნიკური საშუალებების / სადემონსტრაციო მასალების გამოყენებით. სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრეზენტაცია შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფური მუშაობის შედეგად. პრეზენტაციის უმთავრესი მიზანია შერჩეული საკითხის დამუშავებისათვის საჭირო წყაროების მოძიება-დამუშავების ჩვევების გამომუშავება, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს/საკუთარი კვლევის შედეგების მეცნიერულად არგუმენტირებული ორიგინალური დასკვნების / რეკომენდაციების სახით, ზეპირი ფორმით წარდგენისა და განხილვაში/დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევების განმტკიცება. წარმოდგენილი პრეზენტაცია მიგვითითებს სტუდენტ(ებ)ის მიერ განვლილი მასალის ცოდნასა და შეძენილ უნარებზე.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - გულისხმობს კონკრეტული შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, ანალიზს, შემთხვევის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირების დადგენას.
- **როლური თამაში (სიმულაციური სიტუაცია)** - როლური თამაში არის სასწავლო დანიშნულების თამაში, რომელიც მიმართულია რომელიმე უნარ-ჩვევის განვითარებაზე, გარკვეული შინაარსის მონაწილეების თვალთახედვიდან განხილვაზე, და სხვ. როლური თამაშის პროცესი წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფის მიერ ამა თუ იმ სიტუაციის მოდელირებას. მონაწილეები მოქმედებისას ითვალისწინებენ იმ სფეროს შინაგან ლოგიკას, რომელსაც მიეკუთვნება გასათამაშებელი სიტუაცია. მოთამაშეების მოქმედება ბოლომდე არაა წინასწარ განსაზღვრული სცენარით. სცენარში მოცემულია მხოლოდ ის პირობები, რომელიც აუცილებელია თამაშის ბიძგის მისაცემად. თითოეული ჯგუფის წევრი იღებს რომელიმე როლს და მოქმედებს ამ როლის შესატყვისად საკუთარი ინტერპრეტაციით. აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს სხვისი აზრების და ქმედების უკეთ გაგებაში. შედეგად ვიღებთ იმას, რომ სტუდენტს შეუძლია უკეთ დაინახოს პრობლემა სხვისი და მრავალმხრივი პერსპექტივიდან.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - აქტივობა მოითხოვს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლება-სწავლის პროცესში, აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ თეორიული მასალის პრაქტიკულად განხორციელებას, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავებას. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებისას სტუდენტებმა ლექტორის/ხელმძღვანელის კონსულტაციის საფუძველზე უნდა შეძლოს სიტუაციაზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის გაცნობიერება და მიზნის დასახვა, თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა, მოქმედების გეგმის დასახვა და მისი განხორციელება, ამასთან, პროცესში მუდმივად აკონტროლონ თუ რამდენად სწორად მიდიან

შედეგისკენ. შემდეგ ეტაპზე კი შეფასდება ქმედების შედეგად მიღებული პროდუქტი და ახალი ქმედებისთვის იდეების დაბადება.

- **საკლასო ექსპერიმენტი** - თვალსაჩინო პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის უკეთ აღქმას. ასევე, წარმოადგენს რეალურ პირობებში განსახორციელებელი აქტივობის შემცირებულ, საკლასო ზომაზე მორგებულ ვერსიას. პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ექსპერიმენტულ სასწავლო სამუშაოებზე გამომუშავებული ჩვენები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (იხ. პროგრამის დანართი №3).

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორები, შეფასების დონეები და რუბრიკები, ასევე, შედეგების შეფასების პერიოდულობა განსაზღვრულია დანართით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (იხ. პროგრამის დანართი №4).

პროგრამის მოცულობა

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, დოქტორანტზეა ორიენტირებული და ემყარება დოქტორანტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და შედეგების მისაღწევად.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს; კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა დოქტორანტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 აკადემიურ წელს (6 სემესტრს). პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობაა 60 (ECTS) კრედიტი. სემესტრის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, დოქტორანტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 5 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-8-9 კვირა შუალედური გამოცდა, მე-18 და მე-19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე-20 და 21-ე კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისთვის განკუთვნილი 60 კრედიტიდან 54 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო 6 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო

კურსებს. პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს: სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.

სასწავლო კომპონენტი		კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (54 ECTS)		
1	მიკროეკონომიკური ანალიზი	6
2	კვლევის მეთოდები ეკონომიკაში	4
3	ეკონომეტრიკა	6
4	სწავლების თანამედროვე მეთოდები	4
5	სამეცნიერო წერის მეთოდები	4
6	სემინარი	6
7	მაკროეკონომიკური ანალიზი	6
8	მონეტარული თეორია და პოლიტიკა	5
9	საჯარო ფინანსები და ფისკალური პოლიტიკა	5
10	თამაშთა თეორია	4
11	პროფესორის ასისტენტობა	4
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (6 ECTS)		
12	ქცევის ეკონომიკა	6
13	შრომის ეკონომიკა	6
14	განათლების ეკონომიკა	6
15	აგრარული ეკონომიკა	6
16	ევროპის რეგიონალური და სოციალური პოლიტიკა	6
სულ (ECTS)		60
კვლევითი კომპონენტი		
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა		

პროგრამის ფარგლებში არჩევით კომპონენტებში მოიაზრება სფეროსთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გაღრმავებისკენ მიმართული სასწავლო კურსები, მათი არჩევა დოქტორანტს შეუძლია საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე - ჯამში 6 კრედიტის მოცულობით.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. პროგრამის დანართი №5).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება დოქტორანტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში დოქტორანტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დოქტორანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე დოქტორანტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 42 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნის შესაბამისად.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის სწავლების მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის შეფასების ფორმებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისობა მისაღწევ და შესაფასებელ შედეგებთან დემონსტრირებულია პროგრამის დანართით №4 – პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. დანართი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელ სასწავლო კურსში შეფასების რომელი მეთოდის გამოყენებით ხდება კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება (დეტალებისთვის იხილეთ პროგრამის დანართი №4 – პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება).

დოქტორანტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისა და ათვისებული ცოდნის ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებისათვის გამოიყენება როგორც **განმავითარებელი**, ისე **განმსაზღვრელი შეფასებები**. განმავითარებელი შეფასების გამოყენების მიზანია სტუდენტის განვითარების ხელშეწყობა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო საგანი - სწავლის პროცესი. **განმსაზღვრელი შეფასების** გამოყენების მიზანი კი არის სწავლის ხარისხის გაკონტროლება, სტუდენტის შედეგების მიღწევის დონის დადგენა სასწავლო კურსის სილაბუს(ებ)ით

განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით, აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა, ხოლო, შეფასების საგანია სწავლის შედეგი - ცოდნა-უნარები და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

ნაშრომის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა) 91-100 ქულა - „ფრიადი (summa cum laude)“ - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) 81-90 ქულა - „ძალიან კარგი (magna cum laude)“- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) 71-80 ქულა - „კარგი (cum laude)“ - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) 61-70 ქულა - „საშუალო (bene)“ - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;ე) 51-60 ქულა - „დამაკმაყოფილებელი (rite)“- შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) 41- 50 ქულა - „არადამაკმაყოფილებელი (insufficient)“ - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) 40 ან ნაკლები ქულა - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)“ - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების „არადამაკმაყოფილებელი (insufficient)“ მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო შეფასების „სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)“ მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომი დაცვის კომისიის წევრების მიერ ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

№	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური შეფასება
1	ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა	<ul style="list-style-type: none"> • ნაშრომის სტრუქტურის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა • ნაშრომის კომპონენტების (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა ძირითადი ნაწილი, დასკვნა) შინაარსობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა 	10 ქულა
2	ნაშრომის აქტუალურობა და მნიშვნელობა	<ul style="list-style-type: none"> • საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალურობა • ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება • ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება 	10 ქულა
3	საკვლევი საკითხის დასმა და წარმოჩენა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევის მიზნების და ამოცანების ფორმულირება და წარმოჩენა • საკვლევი საკითხის დასმა და პრობლემის ირგვლივ მსჯელობა 	10 ქულა

		<ul style="list-style-type: none"> საკვლევი შეკითხვების და/ან კვლევის ჰიპოთეზის ფორმულირება 	
4	დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა	<ul style="list-style-type: none"> კვლევის მიზნების კვლევის შედეგებთან შესაბამისობა 	10 ქულა
5	კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის და მეთოდების რელევანტურობა 	10 ქულა
6	შედეგების /მიგნებების ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები	<ul style="list-style-type: none"> ანალიზის სიღრმე საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის ირგვლივ მსჯელობა და არგუმენტირებული დასკვნები დასკვნებისა და რეკომენდაციების რელევანტურობა 	20 ქულა
7	ნაშრომის ტექნიკური მხარე	<ul style="list-style-type: none"> ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა ციტირება-რეფერირების ტექნიკის დაცვა (APA სტილი) 	5 ქულა
8	გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა	<ul style="list-style-type: none"> საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია მრავალფეროვანი და ვალიდური ლიტერატურა 	10 ქულა
9	ნაშრომის საჯარო დაცვა	<ul style="list-style-type: none"> პრეზენტაციის ლოგიკურად ორგანიზება და ნაშრომის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტის/საკითხის წარმოჩენა მსჯელობის დამაჯერებლობა საკუთარი პოზიციის დაცვა, დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი და სათანადო პასუხების გაცემა პრეზენტაციის ტექნიკა, კონტაქტი აუდიტორიასთან პრეზენტაციის დროის მართვა. 	15 ქულა
საბოლოო მაქსიმალური შეფასება			100 ქულა

შეფასების კრიტერიუმების განმარტებები იხ. დოკუმენტის ბოლოს, დანართში 4.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გამოითვლება დაცვის კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით.

სადისერტაციო ნაშრომის წარდგენისა და დაცვის პროცედურები განისაზღვრება შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ დოქტორანტურის დებულებით.

დასაქმების სფერო

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია პერსპექტიული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ მოემზადონ კარიერისთვის აკადემიურ სფეროში სწავლებისა და კვლევისათვის, სამთავრობო სტრუქტურებში, კვლევით ორგანიზაციებში ან კომერციულ საწარმოებში.

პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსები ხორციელდება ქუთაისის უნივერსიტეტის კორპუსში (ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის ქუჩა №13).

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სასწავლო კურსებისთვის (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის) გამოყოფილია სათანადოდ და თანამედროვე ინფრასტრუქტურით (კომპიუტერი, კონდიციონერი, პროექტორი და დაფა) აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო, საბიბლიოთეკო სივრცე და ასევე, დოქტორანტებისთვის შესაბამისი სამუშაო აუდიტორია, რომელიც სრულად აღჭურვლია შესაბამისი კომპიუტერული ინფრასტრუქტურით, რათა დოქტორანტებს მიეცეთ შესაძლებლობა ჯეროვნად მოახდინონ თავიანთი სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმართვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მოწყობილია კომპიუტერული საგამოცდო აუდიტორიები და ასევე, კეთილმოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი სამუშაო სივრცეები პროგრამის განსახორციელებელი პერსონალისთვის. უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო, კერძოდ, ფუნქციონირებს ლიფტი, შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსები, ასევე პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მისვლა. აუდიტორიები, საგამოცდო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო კურსების განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის საშუალებას იძლევა.

ქუთაისის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი აღჭურვილია, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სახელმძღვანელოების ბეჭდური ან/და ელექტრონული ვერსიებით.

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი, Openbiblio, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, <https://unik.edu.ge/Library/72>.

ელექტრონული კატალოგი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა, გატანილი და დარჩენილი ეგზემპლარების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ასევე რა სახით ირიცხება საფონდო ერთეული ბიბლიოთეკაში: ბეჭდური, ელექტრონული თუ ორივე ფორმით.

დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია EIFL (ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის) მიერ შემოთავაზებული შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები:

Cambridge Core (<https://www.cambridge.org/core>)

Elgaronline (<https://www.elgaronline.com/>) - Edward Elgar Publishing-ის სამეცნიერო ჟურნალები და სახელმძღვანელოები.

Mathematical Sciences Publishers (<https://msp.org/>)

The Royal Society Journals (<https://royalsociety.org/journals/>)

SAGE Journals (<https://journals.sagepub.com>)

EIFL-ის აღნიშნული პაკეტის ფარგლებში უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უფასოდ გამოაქვეყნონ პუბლიკაციები შემდეგ ჟურნალებში:

- De Gruyter-ის ჰიბრიდი და ღია წვდომის ჟურნალები (<https://www.degruyter.com/>)
- European Respiratory Journal-ის ჰიბრიდი ჟურნალები (<https://erj.ersjournals.com/>)
- Royal Society Publishing-ის ღია წვდომის ჟურნალები (<https://royalsociety.org/journals/#listing>)
- SAGE Publications Ltd-ის ღია წვდომის ჟურნალები (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/home>)

50% ფასდაკლებით გამოაქვეყნონ პუბლიკაციები ღია წვდომის ჟურნალებში, ელექტრონულ რესურსებიდან:

- Brill-ის ჰიბრიდი და ღია წვდომის ჟურნალები (<https://brill.com/>)
- Cambridge University Press-ის ღია წვდომის ჟურნალები (<https://www.cambridge.org/core/>)
- Edward Elgar Publishing-ის ჰიბრიდი ჟურნალები (<https://www.elgaronline.com/>)
- Taylor & Francis-ის ღია წვდომის ჟურნალები (<https://taylorandfrancis.com/>)
- World Scientific-ის ჰიბრიდი და ღია წვდომის ჟურნალები (<https://www.worldscientific.com/>)

2019 წლიდან რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით, ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა Elsevier-ის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები:

- ScienceDirect (<https://www.sciencedirect.com/>) – არის მსოფლიოში ავტორიტეტული სამეცნიერო ელექტრონული ბაზა, რომელიც მოიცავს 2000 დასახელების ჟურნალს, ჯამში ორ მილიონზე მეტი სტატიის სრულ ტექსტს. ScienceDirect ძირითადად ორიენტირებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულებები. ბიზნესი, ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი, საინჟინრო მეცნიერებები, მექანიკის ინჟინერია, ატომური ინჟინერია, რადიოლოგიური მეცნიერებები, ბიო სამედიცინო ინჟინერია, ჯანდაცვა, ასტრონომია, ასტროფიზიკა, გეოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ურბანული დაგეგმარება, ეკონომიკა, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები.
- Scopus (<http://www.scopus.com>) – წარმოადგენს ელ. ბაზას, რომელიც აერთიანებს ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, აბსტრაქტებსა და ციტირების მაჩვენებლებს 1995 წლიდან დღემდე. ის მოიცავს 5000-ზე მეტი გამომცემლის 21000 დასახელების სამეცნიერო ჟურნალს, ჯამში 50 მილიონზე მეტი ჩანაწერი..
- Funding Institutional (<https://www.fundinginstitutional.com>) - აერთიანებს მონაცემებს მსოფლიოში არსებული სამეცნიერო გრანტების შესახებ. ის დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს მოიძიოს მის დარგში არსებული პროექტები (დაფინანსების შესაძლებლობები). აღნიშნული ბაზის გამოყენებისთვის აუცილებელია უშუალოდ ბაზაში რეგისტრაცია/ანგარიშის შექმნა. მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტიდან ასევე მის მიღმა.

საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ნაწილში: <https://unik.edu.ge/Library/73>.

პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კომპეტენცისა და გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია პროგრამის დანართში N°6.

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

ე. სეიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

დ. ხაოაძაძე

ქუთაისის უნივერსიტეტი
ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
სადოქტორო კვლევის განაცხადის ფორმა

კანდიდატის სახელი და გვარი:

კვლევის განაცხადის დასახელება:

კვლევის განაცხადის შესახებ ინფორმაცია:

1. საკვლევი თემა/პრობლემა და მისი აქტუალობა. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 180;
2. ლიტერატურის (წყაროების) მიმოხილვა საკვლევი თემის გარშემო. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა-600;
3. კვლევის მიზანი, კვლევის კითხვები, ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა-180;
4. კვლევის მეთოდოლოგია (აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით განხორციელდება კვლევა, გაეცემა პასუხები საკვლევ კითხვებს, დადასტურდება ან არ დადასტურდება ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები, მიღწეული იქნება კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 350;
5. კვლევის მოსალოდნელი შედეგები (რა წვლილს შეიტანს ახალი ცოდნა დარგის განვითარებაში). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400.

კანდიდატის ხელმოწერა:

თარიღი:

სავარაუდო ხელმძღვანელი:

თნახმა ვარ გავუწიო ხელმძღვანელობა დოქტორანტობის კანდიდატს (სახელი გვარი) პროგრამაზე მისი ჩარიცხვის შემთხვევაში.

სახელი გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი:

ქუთაისის უნივერსიტეტი
ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
კვლევის განაცხადის შეფასების ფორმა

დარგობრივი კომისიის წევრი (სახელი და გვარი):

სადოქტორო პროგრამის კანდიდატი (სახელი და გვარი):

კვლევის განაცხადის დასახელება:

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო კვლევის განაცხადი ფასდება 6 კრიტერიუმის მიხედვით:

კვლევის აქტუალობა - რამდენად მკაფიოდ არის გამოკვეთილი კვლევის პრობლემა და დასაბუთებული მისი აქტუალობა;

წყაროების მიმოხილვა - რამდენად სრულად ასახავს წყაროების მიმოხილვა არსებულ ცოდნას საკვლევი პრობლემის გარშემო, მიმოხილვის თანმიმდევრულობა, წყაროების შერჩევის მართებულობა, ახალი ცოდნის შექმნის საჭიროების დასაბუთება;

კვლევის მიზანი - კვლევის მიზანი სწორად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, ის გამომდინარეობს მიმოხილული წყაროებიდან. დასმული კითხვები და ჰიპოთეზები შეესაბამება კვლევის მიზანს და სწორადაა და გასაგებად არის ჩამოყალიბებული;

კვლევის მეთოდოლოგია - მეთოდოლოგიის შერჩევის სისწორე, მისი აღწერის სისრულე;

კვლევის მოსალოდნელი შედეგები - რამდენად მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კვლევის შედეგების წვლილი დარგის განვითარებაში;

ენა და სტილი - რამდენადაა დაცულია აკადემიური ენა და სტილი, მსჯელობის თანმიმდევრულობა და არგუმენტირებულობა.

კვლევის განაცხადის შეფასების თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5 ქულიანი სისტემით. უმაღლესი შეფასებაა 5 ქულა, ყველაზე დაბალი შეფასებაა 0 ქულა. ჯამური სარეიტინგო ქულა დაანგარიშდება თითოეულ კრიტერიუმში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით. შესაბამისად, მაქსიმალური სარეიტინგო ქულა არის 5, ხოლო მინიმალური ბარიერი კი 3 ქულა.

სადოქტორო კვლევის განაცხადის შეფასება							
შეფასების კრიტერიუმები		ქულა					
		5	4	3	2	1	0
1	კვლევის აქტუალობა						
2	წყაროების მიმოხილვა						
3	კვლევის მიზანი						
4	კვლევის მეთოდოლოგია						
5	კვლევის მოსალოდნელი შედეგები						
6	ენა და სტილი						
ჯამური სარეიტინგო ქულა							

დარგობრივი კომისიის წევრის/წვრების სახელი და გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი:

ქუთაისის უნივერსიტეტი
ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
პრეზენტაციის შეფასების ფორმა

დარგობრივი კომისიის წევრი/წევრების სახელი და გვარი:

კანდიდატის სახელი და გვარი:

კვლევის განაცხადის დასახელება:

პრეზენტაცია ფასდება ორი კრიტერიუმით:

პრეზენტაციის ტექნიკა და საკითხის წარმოჩენა - სადოქტორო პროგრამის კანდიდატი წარმოადგენს მაქსიმუმ 15 წუთიან პრეზენტაციას კვლევის განაცხადის შესახებ. პრეზენტაციისას მხედველობაში მიიღება პრეზენტაციის ტექნიკის ფლობა, საკითხის გადმოცემის თანმიმდევრულობა და არგუმენტირებულობა;

დისკუსია/დებატები - დისკუსიისას განხილული იქნება წარმოდგენილი მონახაზის დასბუთებულობა, წყაროები, მეთოდოლოგია, მიზნები და ჰიპოთეზები. კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მისი გავლენა დარგის/სფეროს განვითარებაზე. შეფასდება კანდიდატის კომპეტენცია კვლევის სფეროში და კითხვებზე არგუმენტირებული და თანმიმდევრული პასუხის გაცემის უნარი.

კვლევის განაცხადის პრეზენტაციის შეფასების თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5 ქულიანი სისტემით. უმაღლესი შეფასებაა 5 ქულა, ყველაზე დაბალი შეფასებაა 0 ქულა. ჯამური სარეიტინგო ქულა დაანგარიშდება თითოეულ კრიტერიუმში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით. შესაბამისად, მაქსიმალური სარეიტინგო ქულა არის 5, ხოლო მინიმალური ბარიერი კი 3 ქულა.

პრეზენტაციის შეფასება							
შეფასების კრიტერიუმები		ქულა					
		5	4	3	2	1	0
1	პრეზენტაციის ტექნიკა და საკითხის წარმოჩენა						
2	დისკუსია/დებატები						
ჯამური სარეიტინგო ქულა							

დარგობრივი კომისიის წევრის/წვრების სახელი და გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები

№	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური შეფასება
1	ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა	<p>ნაშრომის სტრუქტურის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა (5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომი არ შეესაბამება ნაშრომის სტრუქტურის დადგენილ მოთხოვნებს.</p> <p>1-2 ქულა: ნაშრომი ნაწილობრივ შეესაბამება ნაშრომის სტრუქტურის დადგენილ მოთხოვნებს, არ არის სრულად წარმოდგენილი ნაშრომის ყველა სავალდებულო კომპონენტი (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).</p> <p>3-4 ქულა: ნაშრომი მეტწილად შეესაბამება ნაშრომის სტრუქტურის დადგენილ მოთხოვნებს, მეტწილად მოიცავს სტრუქტურასთან დაკავშირებულ კომპონენტებს (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).</p> <p>5 ქულა: ნაშრომი სრულად შეესაბამება ნაშრომის სტრუქტურის დადგენილ მოთხოვნებს, მოიცავს სტრუქტურასთან დაკავშირებულ ყველა კომპონენტს (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).</p> <p>ნაშრომის კომპონენტების (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) შინაარსობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა (5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომის კომპონენტები (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) არ შეესაბამება ნაშრომის შინაარსობრივ მოთხოვნებს, კომპონენტები მოიცავს არარელევანტურ ინფორმაციას, არ არის შინაარსობრივად გამართული.</p> <p>1-2 ქულა: ნაშრომის კომპონენტები (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) ნაწილობრივ შეესაბამება ნაშრომის შინაარსობრივ მოთხოვნებს, კომპონენტები მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს რელევანტურ ინფორმაციას და შინაარსობრივად ნაწილობრივ გამართულია.</p> <p>3-4 ქულა: ნაშრომის კომპონენტები (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) მეტწილად შეესაბამება ნაშრომის შინაარსობრივ მოთხოვნებს, კომპონენტები მეტწილად მოიცავს რელევანტურ ინფორმაციას და შინაარსობრივად მეტწილად გამართულია.</p> <p>5 ქულა: ნაშრომის კომპონენტები (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) სრულად შეესაბამება ნაშრომის შინაარსობრივ მოთხოვნებს, თითოეული კომპონენტი მოიცავს შესაბამის ინფორმაციას, შინაარსობრივად გამართულია და ნათლად ფორმულირებული.</p>	10 ქულა

<p>2</p>	<p>ნაშრომის აქტუალობა და მნიშვნელობა</p>	<p>საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა (5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომის თემა არ არის თანამედროვე და აქტუალური.</p> <p>1-2 ქულა: ნაშრომში საუბარია თემის აქტუალობაზე და სიახლეზე, თუმცა მოყვანილია არაადექვატური არგუმენტები ამის დასამტკიცებლად.</p> <p>3-4 ქულა: ნაშრომში არგუმენტებით არის დასაბუთებული თემის სიახლე და აქტუალობა, თუმცა ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა არგუმენტების დამატება. კვლევის აქტუალობის დასაბუთება საჭიროებს განვრცობას და ცალკეული დეტალების დაზუსტებას.</p> <p>5 ქულა: თემა აქტუალურია, ნაშრომში სრულად საკმარისი ადექვატური არგუმენტებით არის დასაბუთებული კვლევის სიახლე და აქტუალობა.</p> <p>ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება (5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომს არ გააჩნია სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება.</p> <p>1-2 ქულა: ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება არ არის სათანადოდ დასაბუთებული.</p> <p>3-4 ქულა: ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება დასაბუთებულია, თუმცა საჭიროა არგუმენტების დამატება, დასაბუთება საჭიროებს განვრცობას და ცალკეული დეტალების დაზუსტებას.</p> <p>5 ქულა: ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება სათანადოდაა დასაბუთებული.</p>	<p>10 ქულა</p>
<p>3</p>	<p>საკვლევი საკითხის დასმა და წარმოჩენა</p>	<p>კვლევის მიზნების და ამოცანების ფორმულირება და წარმოჩენა (2.5 ქულა)</p> <p>0 ქულა: კვლევის მიზნები და ამოცანები არ არის გასაგებად ფორმულირებული.</p> <p>1.5 ქულა: კვლევის მიზნები და ამოცანები გასაგებია, თუმცა საჭიროებს დაზუსტებას და მოდიფიცირებას.</p> <p>2.5 ქულა: კვლევის მიზნები და ამოცანები სრულიად გასაგებია, ნათელია და მკაფიოდ ფორმულირებული.</p> <p>საკვლევი საკითხის დასმა და პრობლემის ირგვლივ მსჯელობა (5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომში პრობლემა არ არის დასმული, არ არის დაზუსტებული პრობლემის არსი საერთოდ.</p> <p>1-2 ქულა: ნაშრომში დასმული პრობლემა არის ძალიან ზოგადი, იწვევს გაუგებრობას და არის ბუნდოვანი, საჭიროებს მოდიფიცირებას.</p> <p>3-4 ქულა: ნაშრომში პრობლემა დასმულია, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას და დასაბუთებას.</p> <p>5 ქულა: ნაშრომში მკაფიოდ არის გადმოცემული პრობლემა და ახსნილი საკითხის პრობლემატურობა.</p>	<p>10 ქულა</p>

		<p>საკვლევი შეკითხვების და/ან კვლევის ჰიპოთეზის ფორმულირება (2.5 ქულა)</p> <p>0 ქულა: საკვლევი შეკითხვები და/ან კვლევის ჰიპოთეზა არ არის გასაგებად ფორმულირებული.</p> <p>1.5 ქულა: საკვლევი შეკითხვები და/ან კვლევის ჰიპოთეზა გასაგებია, თუმცა საჭიროებს დაზუსტებას და მოდიფიცირებას.</p> <p>2.5 ქულა: კვლევის მიზნები და ამოცანები სრულიად გასაგებია, ნათელია და მკაფიოდ ფორმულირებული.</p>	
4	დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა	<p>კვლევის მიზნების კვლევის შედეგებთან შესაბამისობა (10 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომში წარმოდგენილი შედეგები სრულიად არარელევანტური დასახულ მიზნებთან/ამოცანებთან.</p> <p>1-3 ქულა: ნაშრომი მხოლოდ ირიბად და ნაწილობრივ ეხმიანება ნაშრომის მიზნებსა და ამოცანებს. ნაშრომის სხვადასხვა ნაწილებში (დასკვნაში, შედეგებში) წარმოდგენილია დასმული მიზნებისა და ამოცანების მხოლოდ ერთი, მცირე ნაწილი.</p> <p>4-6 ქულა: ნაშრომის შედეგი ეხმიანება დასმულ მიზნებსა და ამოცანებს მაგრამ ფიქსირდება გარკვეული არსებითი საკითხები რომელიც ნაშრომის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე არ გვხვდება ნაშრომის შედეგში.</p> <p>7-9 ქულა: ნაშრომი შესაბამისობაშია დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან, მაგრამ საჭიროებს განვრცობას, დაზუსტებას.</p> <p>10 ქულა: ნაშრომი სრულ შესაბამისობაშია მის მიზნებთან და ამოცანებთან. წარმოდგენილი დაკვლევებით სრულად იქნა მიღწეული დასმული მიზნები. შედეგებში თითოეული მიზნიდან გამომდინარე მსჯელობა არის დეტალური, ვრცელი და ამომწურავი.</p>	10 ქულა
5	კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები	<p>გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის და მეთოდების რელევანტურობა (10 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია სრულად არარელევანტურია და არ ეხმიანება კვლევის მიზნებს, ამოცანებს, შესაბამისად აცდენილია მის შედეგებსაც.</p> <p>1-3 ქულა: ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია მხოლოდ ნაწილობრივ, ფრაგმენტულად არის ეფექტური ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. კვლევის მეთოდები წარმოდგენილია ძალზე მწირი ფორმით.</p> <p>4-6 ქულა: ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია არის ეფექტური დასახული მიზნების მისაღწევად თუმცა ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა დამატებითი მეთოდოლოგიის გამოყენება.</p> <p>7-9 ქულა: ნაშრომში გამოყენებულია საკმარისი რაოდენობის კვლევის მეთოდოლოგია, გამოყენებულია ადეკვატური კვლევის მეთოდოლოგია თუმცა 1 ან 2 მეთოდის გამოყენება უფრო დამაჯერებელს გახდიდა წარმოდგენილ შედეგს.</p> <p>10 ქულა: გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია არის სრულიად საკმარისი, კომპლექსური და ადეკვატური.</p>	10 ქულა

6	<p>შედეგების /მიგნებების ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები</p>	<p>ანალიზის სიღრმე (10 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომში კვლევის ძირითადი საკითხები არ არის მიმოხილული საერთოდ.</p> <p>1-3 ქულა: ნაშრომში შესრულებულია ანალიზის მცირე ნაწილი, შესრულებული ანალიზი საჭიროებს განვრცობას.</p> <p>4-6 ქულა: ნაშრომში შესრულებული ანალიზი წარმოდგენილია მხოლოდ ფრაგმენტულად, აკლია არაერთი არსებითი საკითხის მიმოხილვა.</p> <p>7-9 ქულა: ნაშრომში შესრულებულია ანალიზი, თუმცა აკლია 1 ან 2 არსებითი საკითხის მიმოხილვა.</p> <p>10 ქულა: ნაშრომში ანალიზი შესრულებულია სრულად, მიმოხილულია ყველა არსებითი საკითხი, ანალიზი არის დასაბუთებული, ამომწურავი და დეტალური.</p> <p>საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის ირგვლივ მსჯელობა და არგუმენტირებული დასკვნები (5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომში მოცემული დასკვნები საერთოდ არ არის დასაბუთებული.</p> <p>1-2 ქულა: ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნების მხოლოდ მცირე ნაწილია დასაბუთებული, წარმოდგენილი დასაბუთება ვერ უზუნველყოფს დასკვნების გამყარებას.</p> <p>3-4 ქულა: ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები არგუმენტირებულია, თუმცა რამდენიმე მათგანი საჭიროებს განვრცობას.</p> <p>5 ქულა: ნაშრომში წარმოდგენილი თითოეული დასკვნა არის ზედმიწევნით დასაბუთებული, წარმოდგენილია მკაფიო არგუმენტები, წარმოდგენილი არგუმენტები არის საკმარისი და ვრცელი.</p> <p>დასკვნებისა და რეკომენდაციების რელევანტურობა (5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები სრულიად არ შეესაბამება კვლევის მიზნებს, ამოცანებს და შესრულებულ კვლევას.</p> <p>1-2 ქულა: ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები არის ძალზე მჭირი და საჭიროებს მნიშვნელოვნად განვრცობას. წარმოდგენილი დასკვნების და რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი სრულიად არ შეესაბამება კვლევის მიზნებს ამოცანებს და მის შინაარსს.</p> <p>3 ქულა: ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნების და რეკომენდაციების უმრავლესობა არის კვლევის ადექვატური თუმცა გვხვდება ცალკეული დასკვნები და რეკომენდაციები რომელიც არარელევანტურია კვლევისთვის და არ აქვს კავშირი განხორციელებულ კვლევასთან.</p> <p>4 ქულა: ძირითადად ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები არის რელევანტური, თუმცა აკლია 1 ან ორი მნიშვნელოვანი დასკვნა და ფიქსირდება 1 ან 2 ისეთი დასკვნა/რეკომენდაცია, რომელიც არ არის კვლევის ადექვატური.</p> <p>5 ქულა: ნაშრომში წარმოდგენილი ყველა დასკვნა /რეკომენდაცია არის სრულიად რელევანტური, ადექვატური და ამომწურავი.</p>	20 ქულა
---	---	---	---------



7	ნაშრომის ტექნიკური მხარე	<p>ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა (2.5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომი სრულად გაუმართავია გრამატიკულად, სახეზეა გამოტოვებული ასოები. საერთოდ არ არის სასვენი ნიშნები. სტრუქტურულად არ აკმაყოფილებს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.</p> <p>1 ქულა: ნაშრომის დიდი ნაწილი სტილისტურად, გრამატიკულად გაუმართავია. მრავლად გვხვდება გამოტოვებული ასოები, დარღვეულია პუნქტუაციის წესები. ნაშრომს სტრუქტურულად ნაკლოვანია - აკლია სტრუქტურული ნაწილები.</p> <p>2 ქულა: მეტწილად ნაშრომი სტილისტურად, გრამატიკულად და მორფოლოგიურად გამართულია. გვხვდება რამდენიმე ტექნიკური/გრამატიკული შეცდომა. ნაშრომის სტრუქტურა მეტწილად გამართულია.</p> <p>2.5 ქულა: ნაშრომი სრულად გამართულია არ გვხვდება გრამატიკული შეცდომები. დაცულია სტილისტიკა. სტრუქტურულად ნაშრომი სრულად გამართულია.</p> <p>ციტირება-რეფერირების ტექნიკის დაცვა (APA სტილი) (2.5 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომში არ არის დაცული ციტირების წესი.</p> <p>1 ქულა: ნაშრომი ძირითადად არ აკმაყოფილებს მისთვის წაყენებულ ციტირების სტანდარტებს. მრავლად გვხვდება ადგილები, სადაც არ არის ციტირება ან/და ციტირება შესრულებული არ არის არსებული წესების დაცვით. ასევე ნაშრომში მითითებული ლიტერატურის დიდი ნაწილი არ იძებნება შესაბამის ბაზაში.</p> <p>2 ქულა: მეტწილად ნაშრომში დაცულია ციტირების წესები, თუმცა რამდენიმე მონაკვეთი არის შესაბამისი ციტირების გარეშე, გვხვდება რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი ციტირებისას.</p> <p>2.5 ქულა: ნაშრომში ზედმიწევნით არის დაცული ციტირების წესები. საჭიროების მიხედვით, ყველგან არის შესაბამისი ციტირება, არსებული წესების შესაბამისად.</p>	5 ქულა
8	გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა	<p>საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია მრავალფეროვანი და ვალიდური ლიტერატურა (10 ქულა)</p> <p>0 ქულა: ნაშრომში საერთოდ არ არის გამოყენებული ლიტერატურა.</p> <p>1-3 ქულა: ნაშრომში გამოყენებული წყაროები არის ძალიან მწირი და მოძველებული.</p> <p>4-6 ქულა: ნაშრომში გამოყენებული წყაროები მნიშვნელოვნად საჭიროებს განვრცობას და განახლებას, მრავლად გვხვდება მოძველებული ლიტერატურა.</p> <p>7-9 ქულა: ნაშრომში გამოყენებული წყაროები საკმარისია, თუმცა ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა 1-2 კონკრეტული წყაროს დამატება.</p> <p>10 ქულა: გამოყენებული წყაროები არის სრულად საკმარისი, უახლესი და ადაეკვატური.</p>	10 ქულა
9	ნაშრომის საჯარო დაცვა	<p>პრეზენტაციის ლოგიკურად ორგანიზება და ნაშრომის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტის/საკითხის წარმოჩენა (3 ქულა)</p>	15 ქულა

<p>0 ქულა: პრეზენტაცია არ არის ორგანიზებული, მოხსენებისას არ არის წარმოჩენილი ნაშრომის მნიშვნელოვანი კომპონენტები/საკითხები.</p> <p>1 ქულა: პრეზენტაციას აკლია ორგანიზება, მოხსენებისას ნაშრომის მნიშვნელოვანი კომპონენტები/საკითხები წარმოჩენილია და დასმული ძალზე ბუნდოვნად და აბსტრაქტულად.</p> <p>2 ქულა: პრეზენტაცია მეტწილად ორგანიზებულია, მოხსენებისას წარმოჩენილია და დასმული ნაშრომის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი/საკითხი, მაგრამ საჭიროებს განვრცობას და მცირედით დაზუსტებას.</p> <p>3 ქულა: პრეზენტაცია კარგადაა ორგანიზებული, ნაშრომის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი/საკითხი დასმულია მოხსენებისას ზუსტად, ამომწურავად და დეტალურად.</p> <p>მსჯელობის დამაჯერებლობა (4 ქულა)</p> <p>0 ქულა: მომხსენებლის მსჯელობა არ არის დამაჯერებელი, მსჯელობა არ არის არგუმენტირებული.</p> <p>1-2 ქულა: მომხსენებლის მსჯელობა ხშირ შემთხვევაში არ არის დამაჯერებელი, მსჯელობისას მოჰყავს არგუმენტები, თუმცა მოყვანილი არგუმენტები მეტწილად არაადექვატური და არარელევანტურია.</p> <p>3 ქულა: მომხსენებლის მსჯელობა მეტწილად დამაჯერებელია, მსჯელობისას მოჰყავს არგუმენტები, მოყვანილი არგუმენტები მეტწილად ადეკვატური და რელევანტურია, მსჯელობა მეტწილად დასაბუთებულია და გამყარებული სათანადო არგუმენტებით.</p> <p>4 ქულა: მომხსენებლის მსჯელობა დამაჯერებელია, მსჯელობისას მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები, მსჯელობა ყოველთვის ზედმიწევნით დასაბუთებულია და გამყარებული სათანადო არგუმენტებით.</p> <p>საკუთარი პოზიციის დაცვა, დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი და სათანადო პასუხების გაცემა (4 ქულა)</p> <p>0 ქულა: მომხსენებელი საერთოდ ვერ ახდენს საკუთარი პოზიციების დაცვას, შეკითხვებზე პასუხების გაცემას და დისკუსიისას არგუმენტების მოშველიებას.</p> <p>1-2 ქულა: მომხსენებელს უჭირს საკუთარი პოზიციის დაცვა, შეკითხვებზე პასუხი და დისკუსიის დროს იშველიებს ერთგვაროვან არგუმენტებს. მნიშვნელოვნად აკლია დამაჯერებლობა.</p> <p>3 ქულა: მომხსენებელი ასაბუთებს საკუთარ პოზიციას, თავისუფლად იშველიებს ცალკეულ არგუმენტებს, თუმცა ავიწყდება ზოგიერთი არგუმენტები. მცირედით აკლია დამაჯერებლობა.</p> <p>4 ქულა: მომხსენებელი მაღალ დონეზე ახორციელებს საკუთარი პოზიციების დაცვას, არის დამაჯერებელი, თავისუფლად ასაბუთებს თავის პოზიციას დისკუსიის რეჟიმში, შეკითხვებზე სცემს ამომწურავ, არგუმენტებით გამყარებულ პასუხებს.</p>	
--	--

	<p>პრეზენტაციის ტექნიკა, კონტაქტი აუდიტორიასთან (2 ქულა)</p> <p>0 ქულა: მომხსენებელი სრულიად არაპრეზენტაბელურია. არ არის აღჭურვილი შესაბამისი პრეზენტაციით / თვალსაჩინოებით, ვერ ახერხებს აზრის გადმოცემას და აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას.</p> <p>1 ქულა: კვლევა წარმოდგენილია შესაბამისი თვალსაჩინოებით, პრეზენტატორი ნაწილობრივ ახერხებს აზრის გადმოცემას და აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას.</p> <p>2 ქულა: კვლევა წარმოდგენილია შესაბამისი თვალსაჩინოებით; პრეზენტაცია წარიმართა ხარვეზების გარეშე.</p> <p>პრეზენტაციის დროის მართვა (2 ქულა)</p> <p>0 ქულა: მომხსენებელმა სრულიად ვერ დაიცვა პრეზენტაციისთვის განსაზღვრული რეგლამენტი.</p> <p>1 ქულა: პრეზენტაციისთვის განსაზღვრული რეგლამენტი დაცულია მცირე ხარვეზებით.</p> <p>2 ქულა: პრეზენტაციისთვის განსაზღვრული რეგლამენტი დაცულია სრულად.</p>	
საბოლოო მაქსიმალური შეფასება		100 ქულა